ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 20 0000632087

24/07/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის მიერ დაფიქსირებული პოზიციის, შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 1ივნისის N422950 გადაწყვეტილების საფუძვლად არსებულ ოქმის მესამე ნაწილში და ჩანაწერი გასწორდეს შემდეგი სახით : "*საბჭოს თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი“* , *ხოლო* ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 24 ივლისის N631441 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ.

ალექსიძის ქ. №1) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია